




საქართველო  
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის  
საკრებულო



02/04/2018

18-07-4-201804021653



N 18

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
დადგენილება №18  
2018 წლის 30 მარტი  
ქ. ლანჩხუთი

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა  
და ინფრასტრუქტურის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის  
მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №51 დადგენილებაში  
ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე  
მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ პუნქტის „ბ.დ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მეორე  
ნაწილების, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4  
პუნქტის შესაბამისად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

**მუხლი 1.** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული  
დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“  
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №51  
დადგენილების (ვებგვერდი 28/12/2017წ, სარეგისტრაციო კოდი: 010250020.35.112.016333)  
პირველი მუხლით დამტკიცებული დანართის „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის  
დებულება“ პირველი მუხლის მესამე პუნქტში შეტანილ იქნას ცვლილება და  
ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. კომისია უზრუნველყოფს ამ დებულებით დადგენილი საკითხების  
საკრებულოში წინასწარ მომზადებას, გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის  
ხელშეწყობას, მერიის და მისი სტრუქტურული ერთეულების, აგრეთვე შესაბამისი  
მიმართულებით მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის იურიდიული პირების  
კონტროლს.“

**მუხლი 2.** დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.  
ბესიკ ტაბიძე

საკრებულოს თავმჯდომარე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

